

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ცვლილების კარტომეტრიულ-გეოგრაფიული ანალიზი

დალი ნიკოლაიშვილი^ა

რეზო თოლორდავა^ბ

dali.nikolaishvili@tsu.ge

rezo_06@mail.ru

^ა გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი, 0179

^ბ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოგრაფიის მიმართულება თსუ, ანა პოლიტკოვსკაია ქ. 9, თბილისი, 0186

სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მრავალი ქვეყნისათვის, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული ქვეყნის უსაფრთხოება. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო, მისი რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში მდებარეობის გამო. იმისათვის, რომ ისტორიული სამართლიანობის პრინციპისა და ქვეყნის მშვიდობიანი თანაარსებობის შენარჩუნებით გადაიჭრას ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხი, აუცილებელია არა მარტო თანამედროვე საზღვრის, არამედ მისი ისტორიული ცვლილების კარტომეტრიულ-გეოგრაფიული ანალიზი.

მრავალი ისტორიულ-გეოგრაფიული, კარტოგრაფიული და სხვა წყაროების გამოყენებით, აგრეთვე გის-ანალიზის საფუძველზე განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ცვლილების კარტომეტრიულ-გეოგრაფიული ანალიზი და შეიქმნა თანამედროვე სახელმწიფო საზღვრის კარტომეტრიულ-გეოგრაფიული მონაცემთა ბაზა. კვლევის ძირითადი კარტოგრაფიული საფუძველია 1:100,000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სიგრძე 2 მმ-იანი ბიჯით. მეტი სიზუსტის მიღწევის მიზნით საზღვრის სიგრძე განისაზღვრა აგრეთვე სხვადასხვა მასშტაბის (1:1,000,000; 1:500,000; 1:600,000; 1:200,000; 1:50,000; 1:25,000) რუკებზე, რის საფუძველზეც დადგინდა საზღვრის რედუცირებული სიგრძე. ასევე მეტი სიზუსტის მისაღწევად გამოყენებულია სხვადასხვა კარტომეტრიული მეთოდი: მექანიკური გრაფიკული ხერხი (მზომი ფარგლით გაზომვა) და გაზომვები გის-ის რუკაზე.

1:100,000 მასშტაბის ტოპოგრაფიულ რუკაზე ჩატარებული გაზომვების მიხედვით დადგინდა, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის საერთო სიგრძეა 2114.78 კმ, აქედან სახმელეთო საზღვრის - 1802.07 კმ, ხოლო საზღვაო საზღვრის - 312.08 კმ. ამ საზღვრებში საქართველოს ფართობია 69.7 ათ. კმ², მაგრამ ტერიტორიული წყლების (6.624 ათ. კმ²) ჩათვლით - 76.324 ათ. კმ².

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ მრავლადაა პრობლემატური მონაკვეთები. საზღვრის ის მონაკვეთები, სადაც ოროგრაფიული ბარიერები და რთულად გადასალახავი უბნებია (უმთავრესად ჩრდილოეთ საზღვრის გასწვრივ), შედარებით ნაკლები ცვლილებები განიცადა ისტორიულად, თუმცა აქ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საბჭოთა პერიოდში. ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებისა და დასავლური ორიენტაციის შემდეგ ახალი სასაზღვრო პრობლემები და ტერიტორიული პრეტენზიები წარმოიქმნა.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია ტერიტორიული ცვლილებების ხარისხის დადგენა სხვადასხვა ისტორიული პერიოდის შესაბამისად. თანამედროვეობამდე საქართველოს სახელმწიფო საზღვარმა მთელი რიგი ცვლილებები განიცადა, უმეტესწილად ქვეყნის ტერიტორიული დანაკარგების ხარჯზე. მიახლოებით ანგარიშით XIX-XX საუკუნეებში ტერიტორიულმა დანაკარგმა დაახლოებით შეადგინა 20 ათ კმ², რაც ქვეყნის თანამედროვე სახელმწიფო საზღვრის საერთო სიგრძის თითქმის 1/3-ია. გის-ანალიზის საფუძველზე დადგინდა ამ ცვლილების სიზუსტე საზღვრის ზოგიერთ მონაკვეთზე.